ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი N37

სხდომის ჩატარების თარიღი და დრო: 2025 წლის 23 მაისი, 14:00 საათი

სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობა

სხდომათა დარბაზი, ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.N3, ოთახი 210

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას N37 -ს უძღვება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე .

ესწრებოდნენ :

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე.**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა წევრები: ამირან კოპალეიშვილი, გია ბასილაძე, პაატა ლილუაშვილი, მარეხი ნიჟარაძე, მერაბ ჭოხონელიძე, რომან ქვაჩაკიძე, გაგა მანაგაძე, ირაკლი შენგელია, ზაქრო მამასახლისი, ელეონორა არჩაია, ნონა ქანრია.

სულ : 15 წევრიდან-12 წევრი.

არ ესწრებოდა: მაია სიმონიძე, დავით ბახტაძე, კობა გურული, გიორგი კილაძე.

სულ: 4 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **დ. ნიშნიანიძე.**

სხდომა გასხნა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბაქარ მახარაძე. მან აღნიშნა: მოგესალმებით, დღეს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას. დღის წესრიგი და მასალები კომისიის წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბაქარ მახარაძემ წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის N110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

ბატონი დავით ნიშნიანიძე

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა
და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

2. მიმდინარე საკითხები

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა კომისიის თავმჯდომარემ ბ. მახარაძე : დღეს ჩვენ ვატარებთ სხდომას, რომელიც 2025 წლის ბიუჯეტის ცვლილებას ეძღვნება. მესამე ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება გაიზარდა 3 099,3 ათასი ლარით და ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 181 427,6 ათას ლარს. დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას ვთხოვთ ბატონ დავით ნიშნიანიძეს.

მოისმინეს: „საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის, ბატონი **დ. ნიშნიანიძე:** „მოგელსამებით, მიზანშეწინილია და საჭირო გახდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების განხორციელება: „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულებით ქუთაისის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 2 000,0 ათასი ლარი, დაკორექტირდა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფორნდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულება და შემცირდა 292,7 ათასი ლარით. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 მაისის N783 განკარგულებით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს

მიეცა უფლება „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულების ფარგლებში დარჩენილი ეკონომიები, ჯამში 355,7 ათასი ლარი, გამოყენებულ იქნას ნიკეას ქუჩიდან ნიკეას №19/1 და №19/2 ნაკვეთებთან მისასვლელი გზისა და სანიაღვრე ქსელის მოწყობისა და გ. ჭანტურიას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის.

ფრენბურთისა და ბალახის ჰოკეის ხელშეწყობისათვის ბიუჯეტში განისაზღვრა 120,0 ათასი ლარი.

ადგილობრივი შემოსავლების ფარგლებში გაიზარდა „შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე“ 135,0 ათასი ლარით, ხოლო „სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები“ - 909,7 ათასი ლარით.

ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრებში არსებული ეკონომიებისა და შემოსავლების ზრდის ფარგლებში გაიზარდა „გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთების“ ქვეპროგრამა 150,0 ათასი ლარით, „ვიდეო - სამეთვალყურეო კამერების შეძენა-ექსპლოატაცია“ 350,0 ათასი ლარით ახალი კამერების შეძენა-მონტაჟისათვის, „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამას საქართველოს მთავრობის 2025 წლის 11 მარტის №452 განკარგულებით განსაზღვრული პროექტების თანადაფინანსებისათვის დაემატა 456,0 ათასი ლარი.

მესამე ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება გაიზარდა 3 099,3 ათასი ლარით და ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 181 427,6 ათას ლარს. (კონკრეტული ცვლილებების ნუსხა თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე: თუ შეკითხვები არ გვაქს კენჭის ვუყაროთ** „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების

შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის N110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის.“საკითხს

მომხრე-10, მოწიინააღმდეგე-0, თავის შეაკავა-2

დადგინეს: ღია კენჭისჭრის თანახმად „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის N110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის“ საკითხს მხარი დაუჭირეს.

ამით კომისიის სხდომა დასრულდა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე

ბაქარ მახარაძე